დანართი „ა“

ცხოველთა დაბინავებისა და მოვლის ინსტრუქციები

(კონვენციის მე-5 მუხლი)

სარჩევი

შესავალი

1. ფიზიკური სათავსოები

1.1. ფუნქციები და საერთო დიზაინი
1.2. სამყოფი ოთახები
1.3. ლაბორატორიები და სპეციალური დანიშნულების საპროცედურო ოთახები
1.4. მომსახურების ოთახები

2. გარემო სამყოფ ოთახებში და მისი კონტროლი

2.1. ვენტილაცია
2.2. ტემპერატურა
2.3. ტენიანობა
2.4. განათება
2.5. ხმაური
2.6. სიგნალიზაციის სისტემები

3. მოვლა

3.1. ჯანმრთელობა
3.2. დაჭერა
3.3. შეფუთვისა და ტრანსპორტირების პირობები
3.4. მიღება და შეფუთვის მოხსნა
3.5. კარანტინი, იზოლაცია და აკლიმატიზაცია
3.6. გალიებში მოთავსება
3.7. კვება
3.8. წყალი
3.9. ქვეშაგები
3.10. ფიზიკური დატვირთვა და მოვლა
3.11. დასუფთავება
3.12. ცხოველების ჰუმანური მეთოდებით მოკვლა

1 ფიზიკური სათავსოები

1.1. ფუნქციები და საერთო დიზაინი

1.1.1. თითოეული სათავსო უნდა აიგოს ისე, რომ უზრუნველყოს სათანადო გარემო მასში არსებული ცხოველებისთვის. იგი უნდა დაპროექტდეს ისე, რომ არ მოხდეს იქ არაუფლებამოსილი პირების დაშვება.

სათავსოები, რომლებიც წარმოადგენს უფრო დიდი შენობის კომპლექსის ნაწილს ასევე დაცული უნდა იყოს შენობასთან დაკავშირებული სათანადო ზომებით, რაც შეზღუდავს შესასვლელების რაოდენობას და უნებართვო მოძრაობას.

1.1.2. რეკომენდებულია, რომ სათავსოებისთვის არსებობდეს ტექ. მომსახურების პროგრამა, რათა თავიდან იქნას აცილებული აღჭურვილობის ნებისმიერი სახის დაზიანება.

1.2. სამყოფი ოთახები

1.2.1. მიღებულ უნდა იქნას ყველა აუცილებელი ზომა ოთახების რეგულარულად და ეფექტურად დასუფთავებისა და დამაკმაყოფილებელი ჰიგიენური სტანდარტების შენარჩუნების მიზნით. ჭერი და კედლები უნდა იყოს დაზიანება-გამძლე, გლუვი, ჰერმეტული და ადვილად გასარეცხი ზედაპირით. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს კარების, მილების, სატარებისა და კაბელების შეერთების ადგილებს. კარებები და ფანჯრები მათი არსებობის შემთხვევაში უნდა დაპროექტდეს ან დაცული უნდა იყოს ისე, რომ შეიზღუდოს არასასურველი ცხოველების შესვლა. შესაბამის ადგილებში კარი შესაძლებელია აღჭურვილი იყოს საკონტროლო ფანჯრით. იატაკები უნდა იყოს გლუვი, ჰერმეტული და არასრიალა, მარტივად მოსარეცხი ზედაპირით, რომელსაც შეეძლება გაუძლოს თაროებისა და სხვა მძიმე აღჭურვილობის წონას დაზიანების გარეშე. სადრენაჟო ხვრელები მათი არსებობის შემთხვევაში უნდა იყოს სათანადოდ დახურული და აღჭურვილი დამცავი ბარიერით.

1.2.2. ოთახები, სადაც ცხოველები გადაადგილდებიან თავისუფლად, უნდა გააჩნდეთ განსაკუთრებულად გამძლე მასალის კედლები და იატაკები, რათა გაუძლონ ცხოველებისა და დასუფთავების პროცედურებით გამოწვეულ მძიმე ცვეთას. მასალა არ უნდა იყოს ცხოველების ჯანმრთელობისთვის საზიანო და უნდა იყოს ისეთი, რომ ცხოველებმა თვითონ არ დაიზიანონ თავი. ასეთ ოთხებში სასურველია იყოს სადრენაჟო ხვრელები. ნებისმიერ მოწყობილობას ან დანადგარს უნდა გააჩნდეს დამათებითი დამცავი საშუალება, რათა თავიდან იქნას აცილებული ცხოველების მიერ მათი დაზიანება ან თვითონ ცხოველების დაზიანება. შენობის გარეთა სასწავლო ტერიტორიების არსებობისას, საჭიროების შემთხვევაში მიღებულ უნდა იქნას ზომები ადამიანებისა და ცხოველების დაშვების თავიდან ასაცილებლად.

1.2.3. სასოფლო-სამეურნეო ცხოველებისთვის (მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, ცხვრები, თხები, ღორები, ცხენები, შინაური ფრინველები და ა.შ.) განკუთვნილი ოთახები სულ მცირე უნდა აკმაყოფილებდნენ სასოფლო-სამეურნეო მიზნებისთვის გამოყენებული ცხოველების დაცვის ევროპული კონვენციითა და ეროვნული ვეტერინარული და სხვა ორგანოების მიერ განსაზღვრულ სტანდარტებს.

1.2.4. სამყოფი ოთახების უმეტესობა ჩვეულებრივ განკუთვნილია მღრღნელებისთვის. ხშირ შემთხვევებში ასეთი ოთახები ასევე შესაძლებელია გამოყენებულ იქნას უფრო დიდი ზომის

სახეობებისთვისაც. ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ ერთად არ მოხვდენენ შეუთავსებელი სახეობები.

1.2.5. სამყოფი ოთახები უზრუნველყოფილი უნდა იყოს სათანადო საშუალებებით, საჭიროების შემთხვევაში უმნიშვნელო პროცედურებისა და მანიპულაციების ჩატარების მიზნით.

1.3. ლაბორატორიები და სპეციალური დანიშნულების საპროცედურო ოთახები

1.3.1. საშენებში ან მომმარაგებელ დაწესებულებებში უნდა არსებობდეს სათანადო საშუალებები ცხოველთა ტრანსპორტირებისთვის.

1.3.2. ყველა დაწესებულებას უნდა გააჩნდეს ასევე მინიმალური ლაბორატორიული აღჭურვილობა მარტივი სადიაგნოსტიკო ტესტების, პათოლოგოანატომიური კვლევების და/ან ნიმუშების აღების მიზნით, რომლებზეც ჩატარდება უფრო მასშტაბური ლაბორატორიული კვლევები სხვა ადგილებში.

1.3.3. გატარებულ უნდა იქნას ღონისძიებები ცხოველების მისაღებად იმგვარად, რომ შემოყვანილმა ცხოვლებმა საფრთხე არ შეუქმნან დაწესებულებაში უკვე არსებულ ცხოველებს; ამგვარ ღონისძიებებში იგულისხმება მაგალითად კარანტინები. უნდა არსებობდეს საერთო და სპეციალური დანიშნულების საპროცედურო ოთახები იმ შემთხვევებისთვის, როდესაც არ არის სასურველი პროცედურების ან დაკვირვებების ჩატარება სამყოფ ოთახში.

1.3.4. დაწესებულებებში უნდა არსებობდეს საშუალებები დაავადებული ან დაზიანებული ცხოველების იზოლირებულად.

1.3.5. შესაბამის შემთხვევებში უნდა არსებობდეს ერთი ან რამოდენიმე სათანადოდ აღჭურვილი ოთახი სტერილურ პირობებში ქირურგიული ოპერაციების ჩასატარებლად. ასევე უნდა არსებობდეს ოპერაციისშემდგომი რეაბილიტაციის საშუალებები.

1.4. მომსახურების ოთახები

1.4.1. საკვების შესანახი ოთახები უნდა იყოს გრილი და მშრალი, მავნებლებისა და მწერებისგან დაცული, ხოლო დასაძინებლად განკუთვნილი ოთახები კი – მშრალი, მავნებლებისა და მწერებისგან დაცული. სხვა ის მასალები, რომლებიც შესაძლოა იყოს დაბინძურებული ან წარმოადგენდეს საფრთხეს, უნდა იქნას შენახული იზოლირებულად.

1.4.2. უნდა არსებობდეს სათავსოები სუფთა გალიებისთვის, ინსტრუმენტებისა და სხვა აღჭურვილობისთვის.

1.4.3. სამრეცხაო უნდა იყო საკმაოდ ფართე იმისთვის, რომ იქ დაეტიოს გამოყენებული აღჭურვილობის გასუფთავებისა და დეზინფექციისთვის საჭირო მოწყობილობები. გასუფთავების პროცესი უნდა ჩატარდეს ისე, რომ მოხდეს სუფთა და ჭუჭყიანი აღჭურვილობის იზოლირება, რათა თავიდან იქნას აცილებული ახლად გასუფთავებული აღჭურვილობის დაბინძურება. კედლები და იატაკები უნდა დაიფაროს სათანადოდ გამძლე ზედაპირის მასალით და ასევე სავენტილაციო სისტემა უნდა იყოს შესაბამისი სიმძლავრის, რათა მოერიოს ზედმეტ ტემპერატურასა და ნესტს.

1.4.4. უნდა გატარდეს ღონისძიებები ცხოველთა ლეშებისა და ექსკრემენტების ჰიგიენის წესების დაცვით შენახვისა და გაუვნებელყოფისთვის. თუ შეუძლებელია ან არასასურველია ადგილზე კრემაცია, უნდა გატარდეს ღონისძიებები ამგვარი მასალის უსაფრთხო გაუვნებელყოფისთვის, ადგილობრივი რეგულაციებისა და ნორმატიული აქტების მოთხოვნების

გათვალისწინებით. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ძლიერ ტოქსიკურ ან რადიოაქტიურ ნარჩენებს.

1.4.5. სამოძრაო ზონების დიზაინი და კონსტრუქცია უნდა შეესაბამებოდეს სამყოფი ოთახების სტანდარტებს. კორიდორები უნდა იყოს საკმარისად ფართე, რათა შესაძლებელი იყოს მოძრაოვი აღჭურვილობის მარტივად გადაადგილება.

2 გარემო სამყოფ ოთახებში და მისი კონტროლი

2.1. ვენტილაცია

2.1.1. სამყოფ ოთახებს უნდა გააჩნდეს სათანადო სავენტილაციო სისტემა, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს იქ მყოფი ცხოველების სახეობების მოთხოვნილებებს. სავენტილაციო სისტემის დანიშნულებაა სუფთა ჰაერის მიწოდება და ცუდი სუნის, ტოქსიკური აირების, მტვრისა და ნებისმიერი სახის ინფექციური დაავადებების გადამტანების დონის შემცირება. სისტემა ასევე უნდა უზრუნველყოფდეს ზედმეტი სიცხისა და ტენიანობის შემცირებას.

2.1.2. ჰაერი ოთახებში უნდა იწმინდებოდეს ხშირი ინტერვალებით. ჩვეულებრივ, საათში 15-20 ჰაერის ნაკადის მიმოცვლა ითვლება ნორმალურად. თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში, როდესაც განთავსების სიმჭიდროვე დაბალია 8-10 ჰაერის ნაკადის მიმოცვლა შეიძლება ჩაითვალოს საკმარისად ან მექანიკური ვენტილაცია შესაძლოა საერთოდ არ იყოს საჭირო. სხვა შემთხვევებში შესაძლოა საჭირო იყოს ჰაერი მიმოცვლის უფრო მაღალი მაჩვენებელი. თავიდან უნდა იქნას აცილებული დაუმუშავებელი ჰაერის რეცირკულაცია. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ყველაზე ეფექტურ სისტემასაც კი არ შეუძლია შეუსაბამო დასუფთავებით ან უგულისყურობით გამოწვეული სიტუაციის კომპენსირება.

2.1.3. სავენტილაციო სისტემა უნდა იყოს დაპროექტებული ისე, რომ თავიდან იქნას აცილებული ჰაერის საფრთხის შემქმნელი მოძრაობა.

2.1.4. დაუშვებელია სიგარეტის მოწევა ოთახებში, სადაც იმყოფებიან ცხოველები.

2.2. ტემპერატურა

2.2.1. #1 ცხრილში წარმოდგენილია დიაპაზონები, რომლის ფარგლებშიც რეკომენდებულია ტემპერატურის შენარჩუნება. ასევე უნდა აღინიშოს, რომ მოცემული ციფრები გათვლილია მხოლოდ მოზრდილ ცოხველებზე. ახალშობილი და ახალგაზრდა ცხოველებისთვის ხშირად საჭიროა უფრო მაღალი ტემპერატურა. ოთახებში ტემპერატურა უნდა დარეგულირდეს ცხოველების თბორეგულაციის შესაძლო ცვლილებების შესაბამისად, რაც შესაძებელია გამოწვეული იყოს სპეციფიური ფიზიოლოგიური მდგომარეობებით ან პროცედურების ზემოქმედებით.

2.2.2. ევროპაში გაბატონებული კლიმატური პირობების გათვალისწინებით, შესაძლოა აუცილებელი გახდეს სავენტილაციო სისტემა, როგორც ცივი, ასევე ცხელი ჰაერის უზრუნველყოფით.

2.2.3. მომხმარებელ დაწესებულებებში შესაძლოა საჭირო გახდეს ტემპერატურის ზუსტი კონტროლი სამყოფ ოთახებში, რადგან გარემო ტემპერატურა წარმოადგენს ფიზიკურ ფაქტორს, რომელიც უმნიშნველოვანეს ზეგავლენას ახდენს ყველა ცხოველის მეტაბოლიზმზე.

2.3. ტენიანობა

ფარდობითი ტენიანობის (RH) მნიშვნელოვანი ცვალებადობა უარყოფით ზემოქმედებას ახდენს ცხოველების ჯანმრთელობასა და კეთილდღეობაზე. აქედან გამომდინარე რეკომენდებულია, რომ RH-ს დონე სამყოფ ოთახებში იყოს შესაბამისი სახეობის ცხოველების შესაფერისი და ჩვეულებრივ იგი შენარჩუნებულ უნდა იყოს 55% +/ 10% ფარგლებში. თავიდან უნდა იქნას აცილებული ხანგრძლივი პერიოდით 40%-ზე დაბალი და 70%-ზე მაღალი RH მაჩვენებლები.

2.4. განათება

უფანჯრო ოთახებში აუცილებელია კონტროლირებადი განათების უზრუნველყოფა, როგორც ცხოველების ბიოლოგიური მოთხოვნების დაკმაყოფილების, ასევე სათანადო სამუშაო გარემოს შექმნის მიზნით. ასევე აუცილებელია სინათლის ინტენსივობისა და დღე-ღამის ციკლის კონტროლი. ალბინოსი ცხოველების შემთხვევაში გათვალისწინებულ უნდა იქნას სინათლისადმი მათი მგრძნობელობა (იხ. ასევე 2.6).

2.5. ხმაური

ხმაური შესაძლოა მნიშვნელოვანი გამაღიზიანებელი ფაქტორი იყოს ცხოველებისთვის. სამყოფი ოთახები და საპროცედურო ოთახები უნდა იყოს იზოლირებული ხმაურის წყაროებისგან, რათა თავიდან იქნას აცილებული ცხოველების ქცევითი და ფიზიოლოგიური დარღვევები. მოულოდნელმა ხმაურმა შესაძლოა გამოიწვიოს მნიშვნელოვანი ცვლილებები ორგანოების ფუნქციონირებაში, მაგრამ რადგან ხშირად ეს გარდაუვალია ზოგჯერ სასურველია, რომ სამყოფი და საპროცედურო ოთახები უზრუნველყოფილი იყოს ზომიერი ინტენსივობის უწყვეტი ხმაურით, როგორიცაა მაგალითად მსუბუქი მუსიკა.

2.6. სიგნალიზაციის სისტემები

დაწესებულება, სადაც იმყოფებიან დიდი ოდენობით ცხოველები, დაუცველია და ამიტომ რეკომენდებულია, რომ დაწესებულება იყოს სათანადოდ დაცული ხანძარაღმომჩენი და არაუფლებამოსილი პირების შეღწევისაგან დამცავი მოწყობილობების დამონტაჟებით. სავენტილაციო სისტემის ტექნიკური გაუმართაობები ან მწყობრიდან გამოსვლა წარმოადგენს კიდევ ერთ საფრთხეს, რასაც შეუძლია გამოიწვიოს ცხოველების დისტრესი და სიკვდილიც კი ასფიქსიის და გადახურების გამო, ან ნაკლებად სერიოზულ შემთხვევებში ზემოქმედება მოახდინოს პროცედურაზე, რომელიც შესაძოა ჩაიშალოს და საჭირო გახდეს მისი ხელახალი ჩატარება. ამიტომ საჭიროა დამონტაჟდეს სათანადო საკონტროლო მოწყობილობები გამათბობელ და სავენტილაციო სისტემებზე, რაც მისცემს თანამშრომლებს ზოგადად მათი ფუნქციონირების მონიტორინგის საშუალებას. საჭიროების შემთხვევაში უნდა არსებობდეს სარეზერვო გენერატორი ცხოველების სიცოცხლის უზრუნველყოფის სისტემებისა და განთების უზრუნველყოფის მიზნითმ ელექტრომომარაგების სისტემების დაზიანების ან მწყობრიდან გამოსვლის შემთხვევაში. თვალსაჩინო ადგილას უნდა იყოს გამოკრული ავარიულ სიტუაციებში მოქმედების ზუსტი ინსტრუქციები. რეკომენდებულია სიგნალიზაციის მოწყობილობები თევზების აუზებისთვის, წყალმომარაგებაში გაუმართაობების არსებობის შემთხვევაში. ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ განგაშის სისტემის ამოქმედებამ რაც შეიძლება ნაკლებად შეაწუხოს ცხოველები.

3 მოვლა

3.1. ჯანმრთელობა

3.1.1. დაწესებულების პასუხისმგებელმა პირმა უნდა უზრუნველყოს ცხოველების რეგულარული შემოწმება და მათი დაბინავებისა და მოვლის პირობების ზედამხედველობა ვეტერინარის ან სხვა კომპეტენტური პირის საშუალებით.

3.1.2. ცხოველების მიმართ პოტენციური საფრთხის შეფასების შესაბამისად სათანადო ყურადღება უნდა დაეთმოს პრესონალის ჯანმრთელობასა და ჰიგიენას.

3.2. დაჭერა

ველური და გაველურებული ცხოველების დაჭერა უნდა მოხდეს მხოლოდ ჰუმანური მეთოდებით და მხოლოდ გამოცდილი პერსონალის მიერ, რომელთაც გააჩნიათ ამგვარი ცხოველების ქცევასთან დაკავშირებული სრულყოფილი ცოდნა. თუ დაჭერისას გამოყენებული უნდა იქნას ანესთეზიოლოგიური ან ნებისმიერი სხვა სახის პრეპარატი, მათი მიცემა უნდა განახორციელოს ვეტერინარმა ან სხვა კომპეტენტურმა პირმა. ნებისმიერი, სერიოზულად დაზიანებული ცხოველი რაც შეიძლება მალე უნდა გასინჯოს ვეტერინარმა მკურნალობის დანიშვნის მიზნით. თუ ვეტერინარის აზრით ცხოველს შეუძლია სიცოცხლის გაგრძელება ტკივილით ან ტანჯვით, დაუყოვნებლივ უნდა მოხდეს მისი ჰუმანური მეთოდით მოკვლა. ვეტერინარის არყოფნის შემთხვევაში დაუყოვნებლივ უნდა მოხდეს ნებისმიერი იმ ცხოველის მოკვლა, რომელიც შესაძლოა იყოს სერიოზულად დაზიანებული.

3.3. შეფუთვისა და ტრანსპორტირების პირობები

უდაოდ, ყველა სახის ტრანსპორტირება ცხოველებისთვის არის სტრესული გამოცდილება, რომელიც უნდა შესუსტდეს შეძლებისდაგვარად მინიმუმამდე. ტრანსპორტირებისთვის ცხოველების ჯანმრთელების მდგომარეობა უნდა იყოს კარგი და გამგზავნის ვალდებულებაა დარწმუნდეს ამაში. არასოდეს არ უნდა მოხდეს იმ ცხოველების ტრანსპორტრება, რომლებიც არიან ავად ან სხვაგვარად არ იმყოფებიან კარგ მდგომარეობაში, თუ ეს არ არის აუცილებელი სამკურნალო ან სადიაგნოსტიკო მიზნებისთვის. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს დედალ ცხოველებს, რომლებიც იმყოფებიან მაკეობის ბოლო სტადიაზე. დაუშვებელია იმ დედალი ცხოველების და ასევე მათი ნაშიერების ტრანსპორტირება, რომლებიც სავარაუდოდ იმშობიარებენ ტრანსპორტირებისას ან რომელთაც იმშობიარეს ბოლო ორმოცდარვა საათის განმავლობაში. გამგზავნმა და გადამყვანმა დიდი ყურადღება უნდა მიაქციონ შეფუთვას, განთავსებას და გადაყვანას, რათა თავიდან იქნას აცილებული შეუსაბამო ვენტილაციით, მაღალი ტემპერატურით, სასმელისა და საკვების არარსებობით და.ა.შ გამოწვეული დისტრესი. მიმღებს უნდა მიეწოდოს სათანადო ინფორმაცია ტრანსპორტირების დეტალების შესახებ და ასევე დოკუმენტური ცნობები, რათა დანიშნულების ადგილას მისვლისას სწრაფად მოხდეს ცხოველების მიღება და დაბინავება. იმ სახელმწიფოების შემთხვევაშიც კი, რომლებიც არ წარმოადგენენ საერთაშორისო ტრანსპორტირებისას ცხოველთა დაცვის შესახებ ევროპული კონვენციის მხარეებს, რეკომენდებულია წინამდებარე კონვენციის პირობების მკაცრად დაცვა; ასევე რეკომენდებულია ეროვნილი კანონებისა და რეგულაციების, ასევე საერთაშორისო საჰაერო ტრანსპორტის ასოციაციის და ცხოველთა საჰაერო ტრანსპორტირების ასოციაციის რეგულეციების მკაცრად დაცვა.

3.4. მიღება და შეფუთვის მოხსნა

ცხოველთა პარტიების მიღება და შეფუთვის მოხსნა უნდა გახორციელდეს შეფერხების გარეშე. შემოწმების შემდეგ ცხოველების გადაყვანა ხდება სუფთა გალიებში ან ფარეხებში და შესაბამის შემთხვევებში ხდება მათი სასმელითა და საკვებით უზრუნველყოფა. დაავადებული ან სხვაგვარად ცუდ მდგომარეობაში მყოფი ცხოველები უნდა მოთავსდნენ სხვა ცხოველებისგან იზოლირებულად მკაცრი ზედამხედველობის ქვეშ. ისინი შეძლებისდაგვარად სწრაფად უნდა გასინჯოს ვეტერინარმა ან სხვა კომპეტენტურმა პირმა და აუცილებლობის შემთხვევაში ჩაუტარდეთ მკურნალობა. დაუყოვნებლივ უნდა მოხდეს იმ ცხოველების ჰუმანური მეთოდით მოკვლა, რომლებსაც არ გააჩნიათ გამოჯანმრთელების შანსი. და ბოლოს, უნდა მოხდეს ყველა მიღებული ცხოველის რეგისტრაცია და მარკირება კონვენციის მე-16, მე-17 და 24-ე მუხლების შესაბამისად. თუ შეუძლებელია სათანადო დეზინფექციის ჩატარება, დაუყოვნებლივ უნდა განადგურდეს ტრანსპორტირებისთვის გამოყენებული ყუთები.

3.5. კარანტინი, იზოლაცია და აკლიმატიზაცია

3.5.1. კარანტინის მიზნებია:

ა დაწესებულებაში სხვა ცხოველების დაცვა;

ბ ადამიანების ზოონოზისაგან დაცვა;

გ სათანადო სამცენიერო საქმიანობის ხელშეწყობა.

თუ დაწესებულებაში მყოფი ცხოველების ჯანმრთელობის მდგომარეობა არ არის დამაკმაყოფილებელი რეკომენდებულია, რომ მათ დაუწესდეთ კარანტინის პერიოდი. ზოგიერთ შემთხვევაში, მაგალითად ცოფის შემთხვევაში აღნიშნული პერიოდი განსაზღვრული უნდა იყოს მხარის ეროვნულ რეგულაციებში. სხვა შემთხვევებში ეს პერიოდი იქნება განსხვავებული და იგი უნდა განსაზღვროს გარემოებებიდან გამომდინარე კომპეტენტურმა პირმა, ჩვეულებრივ დაწესებულების მიერ დანიშნულმა ვეტერინარმა (იხ. ასევე #2 ცხრილი).

ცხოველები შესაძლებელია გამოყენებულ იქნენ პროცედურებისთვის კარანტინის პერიოდის განმავლობაში, როგორც კი ისინი გაივლიან აკლიმატიზაციას ახალ გარემოში და მას შემდეგ, რაც ისინი აღარ წარმოადგენენ მნიშვნელოვან საფრთხეს სხვა ცხოველებისა და ადამიანებისთვის.

3.5.2. რეკომენდებულია დაავადებული ან დაავადებაზე საეჭვო ცხოველების იზოლირება და ამისათვის ადგილის გამოყოფა, ადამიანებისა ან სხვა ცხოველების დაინფიცირების პრევენციის მიზნით.

3.5.3. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ცხოველების ჯანმრთელობის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია, პროცედურებში გამოყენებამდე კარგი იქნება, რომ მათ გაიარონ აკლიმატიზაციის პერიოდი. საჭირო დრო დამოკიდებულია რამოდენიმე ფაქტორზე, როგორიცაა მაგალითად, სტრესი, რომელსაც დაექვემდებარნენ ცხოველები და რომელიც თავის მხრივ დამოკიდებულია ასევე იმ სხვადასხვა ფაქტორებზე, როგორიცაა მაგალითად, ტრანსპორტირების ხანგრძლივობა და ცხოველის ასაკი. აღნიშნული პერიოდის ხანგრძლივობა უნდა განსაზღვროს კომპეტენტურმა პირმა.

3.6. გალიებში მოთავსება

3.6.1. შესაძლებელია განვასხვავოთ ცხოველთა დაბინავების ორი მსხვილი სისტემა.

პირველი, ეს არის საშენებში, მიმწოდებელ და მომხმარებელ დაწესებულებებში არსებული სისტემა ბიო-სამედიცინო კუთხით, რომელიც განკუთვნილია ისეთი ცხოველების დასაბინავებლად, როგორიცაა მღრღნელები, კურდღლები, მტაცებლები, ფრინველები და არა-ადამიანისმაგვარი პრიმატები, ზოგჯერ ასევემ მცოხნელები, ღორები და ცხენები. ინსტრუქციები ამგვარი დაწესებულებებისთვის განკუთვნილი გალიებისთვის, სადგომებისთვის, ფარეხებისა და ბოქსებისთვის წარმოდგენილია 3-13 ცხრილებში. დამატებითი ინფორმაცია გალიების მინიმალური ფართის შესახებ წარმოდგენილია 1-7 სურათებზე. გალიებში განთავსების სიმჭიდროვის შეფასების სათანადო მითითებები წარმოდგენილია 8-22 სურათებზე.

მეორე, არის სისტემა, რომლის ნახვაც ხშირად შეიძლება იმ დაწესებულებებში, რომლებიც ატარებენ პროცედურებს მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო ან მსგავს დიდი ზომის ცხოველებზე. ამგვარ დაწესებულებებში სათავსოები არ უნდა იყოს იმაზე ნაკლები ოდენობის, რაც საჭიროა მოქმედი ვეტერინარული სტანდარტების შესაბამისად.

3.6.2. გალიები და ბოქსები არ უნდა იყოს დამზადებული ცხოველთა ჯანმრთელობისთვის საზიანო მასალისგან და მათი დიზაინი უნდა იყოს იმგვარი, რომ არ ცხოველებმა ვერ შეძლონ საკუთარი თავის დაზიანება და თუ ისინი არ არის ერთჯერადი გამოყენების, ისინი დამზადებული უნდა იყოს დასუფთავებისა და დეზინფიცირების მეთოდებისთვის ადაპტირებული გამძლე მასალისგან. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს გალიებისა და ბოქსების იატაკებს, რომლებიც უნდა განსხვავდებოდეს ცხოველთა სახეობისა და ასაკის მიხედვით და დაპროექტდეს ისე, რომ მარტივად ხდებოდეს ეკსკრემენტებისგან დასუფთავება.

3.6.3. სადგომები მოწყობილი უნდა იყოს ცხოველების კეთილდღეობისთვის. მათ უნდა დააკმაყოფილონ ცხოველების გარკვეული ეთოლოგიური მოთხოვნილებები (მაგალითად, ცოცვის, დამალვის ან დროებითი თავშესაფარის საჭიროება) და ასევე მოწყობილი უნდა იყოს ისე, რომ შესაძლებელი იყოს მათი ეფექტურად დასუფთავება და შეიზღუდოს სხვა ცხოველებთან კონტაქტი.

3.7. კვება

3.7.1. საკვების შერჩევისას, წარმოებისას და მომზადებისას თავიდან უნდა იქნას აცილებული ქიმიური ფიზიკური და მიკრობიოლოგიური დაბინძურება. საკვები შეფუთული უნდა იყოს მჭიდრო, დახურულ პაკეტებში, რომლებზედაც შესაბამის შემთხვევებში მითითებული იქნება წარმოების თარიღი. შეფუთვის, ტრანსპორტირების და შენახვისას ასევე თავიდან უნდა იქნას აცილებული დაბინძურება, გაფუჭება ან განადგურება. შესანახი ოთახები უნდა იყოს გრილი, ბნელი, მშრალი და მწერებისა და მავნებლებისგან დაცული. ისეთი მალფუჭებადი საკვების შენახვა, როგორიცაა მაგალითად ბოსტნეული, ხილი, ხორცი, თევზეული და ა.შ. უნდა მოხდეს გრილ ოთახებში, მაცივრებში ან საყინულეებში.

რეგულარულად უნდა ხდებოდეს კვებისთვის გამოყენებული ბუნკერების, გობებისა და სხვა ჭურჭლის გაწმენდა და საჭიროების შემთხვევაში სტერილიზაცია. თუ გამოიყენება სველი საკვები ან თუ საკვები მარტივად ბინძურდება წყლით, შარდით და ა.შ., აუცილებელია ყოველდღიური გაწმენდა.

3.7.2. საკვების განაწილების პროცესი შესაძლებელია განსხვავდებოდეს ცხოველთა სახეობების მიხედვით, მაგრამ იგი მიმართული უნდა იყოს ცხოველთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისკენ. ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ თოთოეულმა ცხოველმა შეძლოს საკვების მიღება.

3.8. წყალი

3.8.1. ყველა ცხოველისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს სუფთა სასმელი წყალი. ტრანსპორტირებისას დასაშვებია წყლით, როგორც სველი კვების რაციონის ნაწილისთ უზრუნველყოფა. თუმცა, წყალი წარმოადგენს მიკროორგანიზმების მატარებელს და ამიტომ მისი მიწოდება უნდა გახორციელდეს ისე, რომ მინიმუმამდე იქნას დაყვანნილი შესაძლო რისკები. ზოგადად გამოიყენება წყლის მიწოდების ორი მეთოდი: ბოთლებით და ავტომატური სისტემების გამოყენებით.

3.8.2. ბოთლები ხშირად გამოიყენება მღრღნელებისა და კურდღლების მსგავსი მცირე ზომის ცხოველებისთვის. ბოთლების გამოყენების შემთხვევაში ისინი დამზადებული უნდა იყოს გამჭვირვალე მასალისგან, რათა შესაძლებელი იყოს მათი შიგთავსის კონტროლი. ბოთლებს უნდა გააჩნდეთ ფართე ყელი, რათა მარტივად მოხდეს მათი გასუფთავება, ხოლო პლასტმასის მასალის გამოყენების შემთხვევაში იგი არ უნდა იყოს გამოტუტვას დაქვემდებარებული. საცობები, ხუფები და მილები ასევე უნდა ექვემდებარებოდეს სტერილიზაციას და იყოს მარტივად გასაწმენდი. ყველა ბოთლი და აქსესუარი უნდა დაიშალოს ნაწილებად და გაიწმინდოს და ჩაუტარდეს სტერილიზაცია სათანადო და რეგულარული ინტერვალებით. უმჯობესია მოხდეს გამოყენებული ბოთლების სუფთა და სტერილური ბოთლებით ჩანაცვლება და არა ხელახლა შეივსოს ისინი სამყოფ ოთახებში.

3.8.3. რეგულარულად უნდა მოხდეს ავტომატური სასმელი წყლის მიწოდების სისტემების შეომწმება, ტექ. მომსახურება და გამორეცხვა, უბედური შემთხვევებისა და ინფექციების გავრცელების თავიდან აცილების მიზნით. იმ შემთხვევაში, თუ გამოიყენება მყარძირიანი გალიები, მიღებულ უნდა იქნას ზომები დატბორვის რისკების მინიმუმამდე დასაყვანად. ასევე აუცილებელია სისტემების ბაქტერიოლოგიური შემოწმებების ჩატარება წყლის ხარისხის კონტროლის მიზნით.

3.8.4. ქალაქის წაყალმომარაგების სისტემიდან მიღებული წყალი შეიცავს გარკვეულ მიკროორგანიზმებს, რომლებიც ზოგადად ითვლება უსაფრთხოდ, თუ იგი არ გამოიყენება მიკრობიოლოგიურად განსაზღვრული ცხოველებისთვის. ამ შემთხვევებში უნდა მოხდეს წყლის გაწმენდა. ქალაქის წაყალმომარაგების სისტემიდან მიღებული წყალი ჩვეულებრივ დაქლორილია მიკროორგანიზმების ზრდის შესუსტების მიზნით. ქლორით ამგვარი დამუშავება ხშირად არ არის საკმარისი გარკვეული ტიპის ისეთი ოათოგენების ზრდის შესასუსტებლად, როგორიცაა მაგალითად, ფსევდომონა (*Pseudomonas*). დამატებითი ღონისძიების სახით შესაძლებელია გაიზარდოს წყალში ქლორის ოდენობა ან მოხდეს მისი მჟავით დამუშავება, სასურველი ეფექტის მისაღწევად.

3.8.5. თევზების, ამფიბიებისა და რეპტილიების შემთხვევაში მჟავის, ქლორისა და მრავალი სხვა ქიმიური ნივთიერების მიმართ ამტანობა სხვადასხვაგვარია. ამიტომ ყურადღება უნდა მიექცეს აკვარიუმებსა და ავზებში წყლის მიწოდებას ცალკეული სახეობების საჭიროებებისა და ამტანობის ლიმიტების გათვალისწინებით.

3.9. ქვეშაგები

ქვეშაგები უნდა იყოს მშრალი, აბსორბირების უნარის მქონე, არამტვრიანი, არატოქსიკური, ინფექციების გადამტანებისა ან პარაზიტებისგან ან ნებისმიერი სხვა დამაბინძურებელი ფორმებისგან თავისუფალი. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ არ მოხდეს ქიმიურად დამუშავებული ხის ნახერხის ან სხვა მასალის გამოყენება. შესაძლებელია გამოყენებულ იქნას გარკვეული ტიპის საწარმოო ნარჩენები, როგორიცაა მაგალითად, დაკუწული ქაღალდი.

3.10. ფიზიკური დატვირთვა და მოვლა

3.10.1. რეკომენდებულია გამოყენებულ იქნას ყველა შესაძლო საშუალება, რათა ცხოველებს შეეძლოთ ფიზიკური დატვირთვა.

3.10.2. პროცედურებისას ცხოველის ქცევა მნიშვნელოვნად დამოკიდებულია ადამიანისადმი მის ნდობაზე, რაც უნდა იქნას გამომუშავებული. ველური ან გაველურებული ცხოველი სავარაუდოდ არასოდეს არ იქნება იდეალური ცხოველი ექსპერიმენტებისთვის. სულ სხვა ვითარებაა მოშინაურებული ცხოველების შემთხვევაში, რომლებიც დაიბადნენ და გაიზარდნენ ადამიანებთან კონტაქტში. თუმცა, ჩამოყალიბებული ნდობა უნდა შენარჩუნდეს. ამიტომ რეკომენდებულია ხშირი კონტაქტი, რათა ცხოველები შეეგუონ ადამიანების გარშემო ყოფნას და საქმიანობას. შესაბამის შემთხვევებში უნდა გამოიყოს დრო ვერბალური კონტაქტისთვის, დამუშავებისა და მოვლისთვის. ცხველებთან მომუშავე პერსონალი უნდა იყოს გულისხმიერი, მშვიდი და საკუთარ თავში დაჯერებული.

3.11. დასუფთავება

3.11.1. სათავსოს სტანდარტი მეტწილად დამოკიდებულია კარგ ჰიგიენურ პირობებზე. გალიებსა და ბოქსებში საძინებელი საშუალების გამოცვლისას უნდა გაიცეს ზუსტი ინსტრუქციები.

3.11.2. უნდა ჩამოყალიბდეს სათანადო მეთოდები გალიებისა და აქსესუარების, ბოთლებისა და სხვა აღჭურვილობის გასუფთავების, გარეცხვის, დეზინფექციის და აუცილებლობის შემთხვევაში სტერილიზაციისთვის. სამყოფ, სამრეცხაო და შესანახ ოთახებში ასევე უნდა შენარჩუნდეს მაღალი ხარისხის სისუფთავე და წესრიგი.

3.11.3. რეგულარულად უნდა მოხდეს შენობის გარეთ არსებული გალიების, სადგომებისა და ბოქსების სავალი ზედაპირი უნდა გაიწმინდოს რეგულარულად და შესაბამის შემთხვევაში მოხდეს მისი გამოცვლა, რათა ის არ გახდეს ინფექციებისა და ოარაზიტების გავრცელების წყარო.

3.12. ცხოველების ჰუმანური მეთოდებით მოკვლა

3.12.1. ცხოველების მოკვლის ყველა ჰუმანური მეთოდი მოითხოვს გამოცდილებას, რომლის მიღებაც შესაძლებელია მხოლოდ სათანადო სწავლების შედეგად.

3.12.2. შესაძლებელია ღრმა უგონო მდგომარეობაში მყოფი ცხოველის სისხლისგან დაცლა, მაგრამ დაუშვებელია წინასწაი ანესთეზიის გარეშე იმ მედიკამენტების გამოყენება, რომლებიც ახდენენ კუნთების პარალიზებას გონის დაკარგვამდე, ანუ კურარეს მსგავსი ეფექტის მქონე მედიკამენტების გამოყენება და ტვინში დენის ნაკადის გატარების გარეშე ელექტროშოკის გამოყენება.

დაუშვებელია ლეშის გაუვნებელყოფა მანამდე, სანამ არ დადგება გვამური გაშეშება.

ექსპერიმენტების ან სხვა სამეცნიერო მიზნებისთვის გამოყენებული ცხოველების დაცვის ევროპული კონვენციის „ა“ დანართთან დაკავშირებული ცხრილები და სურათები
(ცხოველების დაბინავებისა და მათი მოვლის ინსტრუქციები)

ცხრილი 1

ოთახის ტემპერატურასთან დაკავშირებული ინსტრუქციები
(გალიებში, ბოქსებსა ან ეზოში არსებულ ბაკებში მყოფი ცხოველები)

სახეობები ან სახეობათა ჯგუფები	ოპტიმალური დიაპაზონი °C
არაადამიანის მსგავსი ანთრისებრნი პრიმატები	20-28
თაგვი	20-24
ვირთაგვა	20-24
სირიული ზაზუნა	20-24
მექვიშია	20-24
ზღვის გოჭი	20-24
არაადამიანის მსგავსი ანთრისებრნი პრიმატები	20-24
მწყერი	20-24
კურდღელი	15-21
კატა	15-21
ძაღლი	15-21
ქრცვინი	15-21
შინაური ფრინველები	15-21
მტრედი	15-21
ღორი	10-24
თხა	10-24
ცხვარი	10-24
მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი	10-24
ცხენი	10-24

შენიშვნა: განსაკუთრებულ შემთხვევებში, მაგალითად, ძალიან ახალგაზრდა ან უბალნო ცხოველების არსებობისას, შესაძლოა საჭირო იყოს მითითებულზე მაღალი ოთახის ტემპერატურა.

ცხრილი 2

ადგილობრივი კარანტინის პერიოდებთან დაკავშირებული ინსტრუქციები

შესავალი: იმპორტირებული ცხოველებისთვის კარანტინის ყველა პერიოდი უნდა შეესაბამებოდეს მხარის ეროვნული კანონმდებლობის მოთხოვნებს. რაც შეეხება ადგილობრივ საკარანტინო პერიოდებს, პერიოდის ხანგრძლივობა უნდა განსაზღვროს გარემოებების მიხედვით კომპეტენტურმა პირმა, ჩვეულებრივ დაწესებულების მიერ დანიშნულმა ვეტერინარმა.

სახეობები	დღეები
თაგვი	5-15
ვირთაგვა	5-15
მექვიშია	5-15
ზღვის გოჭი	5-15
სირიული ზაზუნა	5-15
კურდღელი	20-30
კატა	20-30
ძაღლი	20-30
არა-ადამიანისმაგვარი პრიმატები	40-60

ცხრილი 3

პატარა მღრღნელებისა და კურდღლების გალიაში მოთავსებასთან დაკავშირებული ინსტრუქციები (რეზერვში არსებული და პროცედურებისას)

სახეობები	გალიის საერთო მინიმალური ფართობი სმ²	გალიის მინიმალური სიმაღლე სმ
თაგვი	180	12
ვირთაგვა	350	14
სირიული ზაზუნა	180	12
ზღვის გოჭი	600	18
კურდღელი 1 კგ	1 400	30
2 კგ	2 000	30
3 კგ	2 500	35
4 კგ	3 000	40
5 კგ	3 600	40

შენიშნა: „გალიის სიმაღლე“ გულისხმობს ვერტიკალურ მანძილს გალიის იატაკიდან გისოსის ან გალიის ზედა ჰორიზონტალურ ნაწილამდე.

პროცედურების დაგეგმვისას გათვალისწინებული უნდა იქნას ცხოველების პოტენციური ზრდა, რათა უზრუნველყოფილ იქნას სათანადო ოთახი მოცემული ცხრილის შესაბამისად, პროცედურების ყველა ეტაპზე.

იხ. ასევე სურათები 1-5 და 8-12.

ცხრილი 4

სანაშენე მცირე ზომის მღრღნელების გალიაში მოთავსების ინსტრუქციები

სახეობები	გალიის საერთო მინიმალური ფართობი დედისა და ნაშიერისთვის სმ²	გალიის მინიმალური სიმაღლე სმ
თაგვი	200	12
ვირთაგვა	800	14
სირიული ზაზუნა	650	12
ზღვის გოჭი	1 200	18
ზღვის გოჭი ჰარემებში	1 000 თითოეულ მოზრდილ ცხოველზე	18

შენიშვნა: „გალიის სიმაღლის“ განმარტებისთვის იხ. ცხრილი 3.

ცხრილი 5

სანაშენე კურდღლების გალიაში მოთავსების ინსტრუქციები

დედალი კურდღლის წონა კგ	გალიის საერთო მინიმალური ფართობი თითო დედალ კურდღელსა და ნაშიერზე მ²	გალიის მინიმალური სიმაღლე სმ	საბუდარის მინიმალური ფართობი მ²
1	0,30	30	0,10
2	0,35	30	0,10
3	0,40	35	0,12
4	0,45	40	0,12
5	0,50	40	0,14

შენიშვნა: „გალიის სიმაღლის“ განმარტებისთვის იხ. ცხრილი 3.

გალიის საერთო მინიმალური ფართობი თითო დედალ კურდღელსა და ნაშიერზე მოიცავს საბუდარის საერთო ფართობსაც.

იხ. ასევე სურათი 6.

ცხრილი 6

კატების დაბინავების ინსტრუქციები
(პროცედურების განმავლობაში და გამრავლებისას)

კატის წონა კგ	გალიის საერთო მინიმალური ფართობი კატისთვის მ²	გალიის მინიმალური სიმაღლე სმ	გალიის საერთო მინიმალური ფართობი თითო დედაზე და ნაშიერზე მ²	სადგომის საერთო მინიმალური ფართობი თითო დედაზე და ნაშიერზე მ²
0,5-1	0,2	50	-	-
1-3	0,3	50	0,58	2
3-4	0,4	50	0,58	2
4-5	0,6	50	0,58	2

შენიშვნა: კატების გალიებში შესახლება მკაცრად უნდა შეიზღუდოს. დღეში ერთხელ უნდა მოხდეს გალიაში მოთავსებული კატების გარეთ გამოშვება, როდესაც ეს ხელს არ უშლის პროცედურას. კატების სადგომები აღჭურვილი უნდა იყოს ნარჩენებისთვის განკუთვნილი სადგამებით, საკმარისი მოცულობის თაროებიანი ფართით მოსასვენებლად და ცოცვისა და კლანჭების მოსასწორებლად გამოსადეგი საგნებით.

„გალიის სიმაღლე“ ნიშნავს ვერტიკალურ მანძილს იატაკის ყველაზე მაღალი წერტილიდან გალიის ჭერის ყველაზე მაღალ წერტილამდე.

საერთო მინიმალური ფართის გამოთვლის მიზნით გათვალისწინებული უნდა იყოს თაროებიანი ფართიც. გალიის საერთო მინიმალური ფართობი თითო დედალ კატასა და ნაშიერზე მოიცავსსამშობიარო ყუთის 0,18 მ² ფართს. /

იხ. ასევე სურათი 7.

ცხრილი 7

ძაღლების გალიებში დაბინავების ინსტრუქციები
(პროცედურებისას)

ძაღლის სიმაღლე კისრამდე სმ	გალიის საერთო მინიმალური ფართობი თითო ძაღლზე მ²	გალიის მინიმალური სიმაღლე სმ
30	0,75	60
40	1,00	80
70	1,75	140

შენიშვნა: ძაღლები არ უნდა დარჩნენ გალიაში იმაზე მეტი ხნით, რამდენიც საჭიროა უშუალოდ პროცედურისთვის. გალიაში დამწყვდეული ძაღლები მინიმუმ დღეში ერთხელ უნდა გამოუშვათ გარეთ სასეირნოდ, თუ ეს არ ეწინააღმდეგება პროცედურის მიზნებს. უნდა დაწესდეს დროის ლიმიტი, თუ რამდენი ხანი არ შეიძლება ძაღლის გალიაში ყოფნა გასეირნების გარეშე. სასეირნო ზონები უნდა იყოს საკმაოდ დიდი იმისთვის, რომ ძაღლს შეეძოს თავისუფლად გადაადგილება. თუ ამას არ მოითხოვს პროცედურა, დაუშვებელია, რომ ძაღლის გალიას ჰქონდეს გისოსებიანი იატაკი.

სხვადასხვა სახეობის ძაღლების სიმაღლესა და სიმაღლისა და წონის შეზღუდულ ურთიერთდამოკიდებულებას შორის დიდი სხვაობიდან გამომდინარემ გალიის სიმაღლე უნდა შეესაბამებოდეს სხეულის ცალკეული ცხოველის მხრებამდე სიმაღლეს. ზოგადად გალიის მინიმალური სიმაღლე უნდა უტოლდებოდეს მხრებამდე გაორმაგებულ სიმაღლეს.

„გალიის სიმაღლის“ განმარტებისთვის იხ. მე-6 ცხრილის შენიშვნა.

ცხრილი 8

ძაღლების სადგომებში განთავსების ინსტრუქციები
(რეზერვში არსებული და პროცედურებისას და გამრავლებისას)

ძაღლის წონა კგ	სადგომის საერთო მინიმალური ფართობი ერთ ძაღლზე მ²	მიმდებარე სასეირნო ზონის მინიმალური ფართი ერთ ძაღლზე	
		3 ძაღლამდე მ²	3 ძაღლზე მეტი მ²
<6	0,5	0,5 (1,0)	0,5 (1,0)
6-10	0,7	1,4 (2,1)	1,2 (2,9)
10-20	1,2	1,6 (2,8)	1,4 (2,6)
20-30	1,7	1,9 (3,6)	1,6 (3,3)
>30	2,0	2,0 (4,0)	1,8 (3,8)

შენიშვნა: ფრჩხილებში მოცემული ციფრები მიუთითებს საერთო ფართობზე ერთ ძაღლზე, ანუ სადგომის საერთო ფართობს დამატებული მიმდებარე სასეირნო ზონის ფართობი. იმ ძაღლებისთვის, რომლებიც მუდმივად იმყოფებიან გარეთ, უზრუნველყოფილი უნდა იყოს გადახურული კონსტრუქცია ცუდ ამინდში თავის შესაფარებლად. როდესაც ხდება ძაღლების შესახლება გისოსებიან იატაკზე, უზრუნველყოფილი უნდა იყოს მყარი , ერთგვაროვანი ზედაპირი დასაძინებლად. თუ ამას არ მოითხოვს პროცედურა, დაუშვებელია, რომ ძაღლის გალიას ჰქონდეს გისოსებიანი იატაკი. სადგომებს შორის უნდა გაკეთდეს ტიხრები, რათა ძაღლებმა არ დააზიანონ ერთმანეთი.

ყველა სადგომს უნდა გააჩნდეს სათანადო სადრენაჟო მოწყობილობა.

ცხრილი 9

არა-ადამიანისმაგვარი პრიმატების გალიაში განთავსების ინსტრუქციები (რეზერვში არსებული და პროცედურებისას და გამრავლებისას)

შესავალი ნაწილი: პრიმატების ზომებსა და თვისებებთან დაკავშირებული დიდი განსხვავების გამო განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ მათი გალიების ფორმა და შიდა მოწყობილობა, ასევე ზომები შეესაბამებოდეს მათ კონკრეტულ საჭიროებებს. გალიის საერთო მოცულობა ისევე მნიშვნელოვანია პრიმატებისთვის, როგორც საერთო ფართობი. ზოგადად, გალიის სიმაღლე სულ მცირე ადამიანისმსგავსი მაიმუნებისთვის და სხვა მაიმუნებისთვის უნდა იყოს ყველაზე დიდი ზომის შესაძლებელი ზომებიდან. გალიები უნდა იყოს საკმარისად მაღალი იმისთვის, რომ ცხოველებს შეეძლოთ მინიმუმ ვერტიკალურ პოზიციაში დგომა. გალიის მინიმალური სიმაღლე ცხოველებისთვის, რომლებიც გადაადგილდებიან ხელების დახმარებით უნდა იყოს საკმარისი, რათ მათ შეეძლოთ ქანაობა ჭერიდან ისე, რომ ფეხებით არ შეეხონ გალიის იატაკს. შესაბამის შემთხვევებში უნდა მოეწყოს ქანდარები, რათა პრიმატებმა შეძლონ გალიის ზედა ნაწილის გამოყენებაც.

შესაძლებელია გალიაში მოთავსდეს ორი შეთავსებადი პრიმატი. როდესაც შეუძლებელია წყვილად მოთავსება, მათი გალიები უნდა განთავსდეს ისე, რომ მათ არ შეეძლოთ ერთმანეთის დანახვა, თუმცა, საჭიროების შემთხვევაში ასევე შესაძლებელია ამის უგულებელყოფაც.

აღნიშნული დაკვირვებების გათვალისწინებით, ქვემოთმოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ზოგადი ინსტრუქციები ყველაზე ხშირად გამოყენებული სახეობების ჯგუფების გალიებში მოთავსებისთვის (*Ceboidea* და *Cercopithecoidea*).

პრიმატის წონა კგ	გალიის მინიმალური საერთო ფართი ერთ ან ორ ცხოველზე $მ^2$	გალიის მინიმალური სიმაღლე სმ
<1	0,25	60
1-3	0,35	75
3-5	0,50	80
5-7	0,70	85
7-9	0,90	90
9-15	1,10	125
15-25	1,50	125

შენიშვნა: „გალიის სიმაღლის“ განმარტებისთვის იხ. მე-6 ცხრილის შენიშვნა.

ცხრილი 10

ღორების გალიაში მოთავსების ინსტრუქციები
(რეზერვში არსებული და პროცედურებისას)

ღორის წონა კგ	გალიის მინიმალური ფართობი ერთ ღორზე მ²	გალიის მინიმალური სიმაღლე სმ
5-15	0,35	50
15-25	0,55	60
25-40	0,80	80

შენიშვნა: ცხრილი ასევე გამოიყენება გოჭებთან მიმართებაშიც. დაუშებელია ღორების გალიაში მოთავსება თუ ეს აუცილებელი არ არის პროცედურის მიზნებისთვის და ამ შემთხვევაშიც გალიაში ყოფნის პერიოდი უნდა იყოს მინიმალური.

„გალიის სიმაღლის“ განმარტებისთვის იხ. მე-6 ცხრილის შენიშვნა.

ცხრილი 11

სასოფლო-სამეურნეო ცხოველების ბაკებში განთავსების ინსტრუქციები
(რეზერვში არსებული და პროცედურებისას მომხმარებელ დაწესებულებებში)

სახეობები და წონა კგ	ბაკის საერთო მინიმალური ფართობი მ²	ბაკის მინიმალური სიგრძე მ	ბაკის ტიხრის მინიმალური სიმაღლე მ	ბაკის საერთო მინიმალური ფართობი ჯგუფებისთვის მ²/ცხოველი	გობის მინიმალური სიგრძე ერთ სულ ცხოველზე მ
ღორები					
10-30	2	1,6	0,8	0,2	0,20
30-50	2	1,8	1,0	0,3	0,25
50-100	3	2,1	1,2	0,8	0,30
100-150	5	2,5	1,4	1,2	0,35
>150	5	2,5	1,4	2,5	0,40
ცხვრები					
< 70	1,4	1,8	1,2	0,7	0,35
თხები					
< 70	1,6	1,8	2,0	0,8	0,35
მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი					
< 60	2,0	1,1	1,0	0,8	0,30
60-100	2,2	1,8	1,0	1,0	0,30
100-150	2,4	1,8	1,0	1,2	0,35
150-200	2,5	2,0	1,2	1,4	0,40
200-400	2,6	2,2	1,4	1,6	0,55
>400	2,8	2,2	1,4	1,8	0,65
მოზრდილი ცხენები	13,5	4,5	1,8	-	-

ცხრილი 12

სასოფლო-სამეურნეო ცხოველების სადგომებში განთავსების ინსტრუქციები (რეზერვში არსებული და პროცედურებისას მომხმარებელ დაწესებულებებში)

სახეობები და წონა კგ	სადგომის მინიმალური ფართობი მ²	სადგომის მინიმალური სიგრძე მ	სადგომის ტიხრის მინიმალური სიმაღლე მ
ღორები			
100-150	1,2	2,0	0,9
> 150	2,5	2,5	1,4
ცხვრები			
< 70	0,7	1,0	0,9
თხები			
< 70	0,8	1,0	0,9
მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი			
60-100	0,6	1,0	0,9
100-150	0,9	1,4	0,9
150-200	1,2	1,6	1,4
200-350	1,8	1,8	1,4
350-500	2,1	1,9	1,4
> 500	2,6	2,2	1,4
მოზრდილი ცხენები	4,0	2,5	1,6

შენიშვნა: სადგომები უნდა იყოს საკმარისად ფართე, რათა ცხოველებმა შეძლონ კომფორტულად დაწოლს.

ცხრილი 13

ფრინველების გალიებში მოთავსების ინსტრუქციები
(რეზერვში არსებული და პროცედურებისას მომხმარებელ დაწესებულებებში)

სახეობები და წონა გ	მინიმალური ფართობი ერთ ფრინველზე სმ²	მინიმალური ფართობი 2 ფრინველზე სმ²/ფრინველი	მინიმალური ფართობი 3 ფრინველზე სმ²/ფრინველი	გალიის მინიმალური სიმაღლე სმ	გობის მინიმალური სიგრძე ერთ ფრინველზე სმ
ქათმები					
100-300	250	200	150	25	3
300-600	500	400	300	35	7
600-1 200	1 000	600	450	45	10
1 200-1 800	1 200	700	550	45	12
1 800-2 400	1 400	850	650	45	12
(მოზრდილი მამლები) > 2 400	1 800	1 200	1 000	60	15
მწყრები					
120-140	350	250	200	15	4

შენიშვნა: „ფართობი“ ნიშნავს გალიის სიმაღლისა და შიგნიდან და ჰრიზონტალურად გაზომილი სიგანის ნამრავლს და არა გალიის საერთო სიგრძისა და სიგანის ნამრავლს.

„გალიის სიმაღლის“ განმარტებისთვის იხ. მე-6 ცხრილის შენიშვნა.

გისოსიანი იატაკების ცხაურების ზომა არ უნდა აღემატებოდეს 10 x 10 მმ-ს წიწილებისთვის, ხოლო 25 x 25 მმ-ს ვარიებისა და მოზრდილი ფრინველებისთვის. მავთულის სისქე უნდა იყოს მინიმუმ 2მმ. დახრილობის კუტხე არ უნდა აღემატებოდეს 14 % (8°). წყლის გობების სიგრძე უნდა იყოს საკვები გობების სიგრძის ტოლი. თუ არსებობს ბუნიკებიანი მოწყობილობა ან ჭიქები, თითოეულ ფრინველს უნდა გააჩნდეს მათთან დაშვების საშუალება. გალიები უნდა აღიჭურვოს ქანდარებით და თითოეულ გალიაში ფრინველებს უნდა შეეძლოთ ერთმანეთის დანახვა.

სურათი 1

თაგვები (რეზერვში არსებული და პროცედურებისას)
გალიის საერთო მინიმალური ფართობი

თაგვის წონის გათვალისწინებით, EUEU ხაზი აღნიშნავს მინიმალურ ფართობს სადაც იგი უნდა მოთავსდეს.



სურათი 2

ვირთაგვები (რეზერვში არსებული და პროცედურებისას)
გალიის საერთო მინიმალური ფართობი

ვირთაგვას წონის გათვალისწინებით, EUEU ხაზი აღნიშნავს მინიმალურ ფართობს სადაც იგი უნდა მოთავსდეს.



სურათი 3

სირიული ზაზუნები (რეზერვში არსებული და პროცედურებისას)
გალიის საერთო მინიმალური ფართობი

სირიული ზაზუნას წონის გათვალისწინებით, EUEU ხაზი აღნიშნავს მინიმალურ ფართობს სადაც იგი უნდა მოთავსდეს.



სურათი 4

ზღვის გოჭები (რეზერვში არსებული და პროცედურებისას)
გალიის საერთო მინიმალური ფართობი

ზღვის გოჭის წონის გათვალისწინებით, EUEU ხაზი აღნიშნავს მინიმალურ ფართობს სადაც იგი უნდა მოთავსდეს.



სურათი 5

კურდღლები (რეზერვში არსებული და პროცედურებისას)
გალიის საერთო მინიმალური ფართობი

კურდღლის წონის გათვალისწინებით, EUEU ხაზი აღნიშნავს მინიმალურ ფართობს სადაც იგი უნდა მოთავსდეს.



სურათი 6

კურდღლები (საშენში)
გალიის საერთო მინიმალური ფართობი დედა კურდღლისთვის ნაშიერთან ერთად

დედალი კურდღლის წონის გათვალისწინებით EUEU ხაზი აღნიშნავს მინიმალურ ფართობს სადაც იგი უნდა მოთავსდეს.



სურათი 7

კატები (რეზერვში არსებული და პროცედურებისას)
გალიის საერთო მინიმალური ფართობი

კატის წონის გათვალისწინებით, EUEU ხაზი აღნიშნავს მინიმალურ ფართობს სადაც იგი უნდა მოთავსდეს.



სურათი 8

ინსტრუქცია გალიაში თაგვების რაოდენობასა და გალიის საერთო ფართობს შორის კავშირთან მიმართებით (რეზერვში არსებული და პროცედურებისას)

ხაზები მიუთითებს საშუალო წონაზე და შეესაბამება ხაზს EUEU #1 სურათზე



თაგვების გალიის მინიმალური სიმაღლე: 12 სმ

სურათი 9

ინსტრუქცია გალიაში ვირთაგვების რაოდენობასა და გალიის საერთო ფართობს შორის კავშირთან მიმართებით (რეზერვში არსებული და პროცედურებისას)

ხაზები მიუთითებს საშუალო წონაზე და შეესაბამება ხაზს EUEU მე-2 სურათზე



ვირთაგვების გალიის მინიმალური სიმაღლე: 14 სმ

სურათი 10

ინსტრუქცია გალიაში ზაზუნების რაოდენობასა და გალიის საერთო ფართობს შორის კავშირთან მიმართებით (რეზერვში არსებული და პროცედურებისას)

ხაზები მიუთითებს საშუალო წონაზე და შეესაბამება EUEU ხაზს მე-3 სურათზე



ზაზუნების გალიების მინიმალური სიმაღლე: 12სმ

სურათი 11

ინსტრუქცია გალიაში ზღვის გოჭების რაოდენობასა და გალიის საერთო ფართობს შორის კავშირთან მიმართებით (რეზერვში არსებული და პროცედურებისას)

ხაზები მიუთითებს საშუალო წონაზე და შეესაბამება EUEU ხაზს მე-4 სურათზე



ზღვის გოჭების გალიის მინიმალური სიმაღლე: 18 სმ

სურათი 12

ინსტრუქცია გალიაში კურდღლების რაოდენობასა და გალიის საერთო ფართობს შორის კავშირთან მიმართებით (რეზერვში არსებული და პროცედურებისას)

ხაზები მიუთითებს საშუალო წონაზე და შეესაბამება ხაზს EUEU მე-5 სურათზე



კურდღლების გალიების მინიმალური სიმაღლე: იხ. ცხრილი 3